

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის და ასევე ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ჩახვაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

### ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრისა და ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის<sup>1</sup> და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, <sup>2</sup> მოიცავს 2018 წელის სამუშაო პერიოდს.

მოგახსენებთ, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირებაში ჩართვა ჩემთვის არ იყო მარტივი, იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რასაც იმ ადამიანების მიერ მონიჭებული მანდატი მაკისრებს, რომლებთან ერთად მშობლიურ ლანჩხუთში კერძოდ სოფელ ჩიბათში ვცხოვრობ. ანგარიშგება მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც არა მარტო გაწეული საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს, არამედ საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, თუ რისი გაკეთება შევძელით და რა შეიძლება დავგეგმოთ სამომავლოდ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის #88 განკარგულების თანახმად ამირჩიეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, ამავე წლის 24 ნოემბრის #97 განკარგულებით დამტკიცდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა 8 წევრით, ხოლო საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის #52 დადგენილებით ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1) ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია (კომისიის თავმჯდომარე); 2) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

კომისიის საქმიანობის ეფექტურობა მის წევრთა აქტიურობაზე არის დამოკიდებული. რიგ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თანხმობის მიღწევა ნამდვილად

არ არის პრობლემა, რისთვისაც მადლობას ვუხდით კოლეგებს. კომისიის ოქმები და დასკვნები ქვეყნდება პროაქტიულად. ჩვენს ამომრჩეველს შეუძლია არა მარტო ვებ-გვერდზე გაეცნოს, არამედ დაესწროს კომისიის სხდომებსაც. შეტყობინება კომისიის სხდომების გამართვის შესახებ, ჩვენს მოსახლეობას სმს-ით ეგზავნებათ. ჩართულობის ამ და სხვა მექანიზმის გამოყენება აადვილებს ჩვენს მუშაობას.

სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს როგორც რიგით, ასევე რიგარეშე სხდომებში 20-ჯერ.

საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 10 (ათი) სხდომას, ხოლო „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სხდომას 7-ჯერ.

ჩემს მიერ საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკით, როგორც საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ჩავატარე 12 სხდომა, ასევე ერთი გასვლითი სხდომა ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივ მოსახლეობასთან (25.04.2018 წელი). სხდომებზე განხილულ იქნა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხები. კომისიამ როგორც მერიის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი ქონებები. ასევე კომისიის მიერ რეკომენდაცია მიეცა შესაბამის სამსახურებს, რათა მიემართათ შესაბამისი სამინისტროსთვის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური ქონებები, რომლებიც იმყოფება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, საბოლოოდ მოეხდინათ მათი პრივატიზება ან გადმოცემა მუნიციპალიტეტისათვის, რომლებიც აუშნოებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახეს და ასევე საფრთხის შემცველია მოსახლეობისათვის.

კომისია აქტიურად იყო ჩართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში და არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა აღნიშნული პრობლემური საკითხის სწორად წარმართვის მიზნით.

2018 წლიდან დღემდე ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მედიკამენტების შემენაზე დახმარების პროგრამიდან დახმარება გაეწია 28 ბენეფიციარს, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამიდან დახმარება გაეწია 17 ბენეფიციარს, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით სარგებლობს 1 ბენეფიციარი, მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 7 ბენეფიციარს.

კომისია სისტემატიურად უზრუნველყოფდა შემოსული წერილების, განცხადებებისა და პროექტების განხილვას. უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე იკვლევდა მოსახლეობის ინტერესებს.

ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. სწორედ ამ გზით ექნებათ საშუალება მოქალაქეებს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტაში. ბოლოს მინდა გითხრათ, რომ კომისიამ

მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა 2019 წლის სამუშაო გეგმა, რაც იმედს იძლევა იმისა, რომ მიმდინარე წელში მისი მუშაობა უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება.

გიორგი ჩახვაძე



კომისიის თავმჯდომარე

ეკონომიკის, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია